ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 248

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა №49 (საკადასტრო კოდი: №01.19.33.021.028.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა №49-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.021.028.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1024.1273 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა №49-ში, მე-5 სართულზე მდებარე ბინა №17-ის ფართით 74.22 კვ.მ. (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.19.33.021.028.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მაყვალა მერმანიშვილისთვის (პ/ნ: 01029002932) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე